№ 264
ოთხშაბათი, 5 დეკემბერი, 1901 წ.

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12. . .	10 —	6 . . .	6 —
11. . .	9 50	5 . . .	5 50
10. . .	8 75	4 . . .	4 75
9. . .	8 —	3 . . .	3 50
8. . .	7 25	2 . . .	2 75
7. . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877-1901

ივერია

№ 264
ოთხშაბათი, 5 დეკემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერია“

გამოვა 1902 წელს
(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

გადიდებული ადგილობრივ რუსულ გაზეთების ფორმატისა, იმავე პროგრამით, როგორც წინად.

თან-და-თანიჳბითი ზრდა მკითხველთა მოთხოვნილებისა და ის გარემოება, რომ ეხლანდელი პატარა ფორმატი გაზეთისა ხშირად ნებას არ გვაძლევს საჭირო საგნებსა და საზოგადო საკითხებს ჯეროვანი ადგილი დაეთმოს ხოლმე,—გვაიძულებს გავადიდოთ გაზეთი და გავხადოთ იმოდენა, რა ზომისაც ტფილისის რუსული გაზეთებია. ჩვენს გაზეთს ამ რიგად მოემატება ნახევარი იმისა, რაც დღეს არის და მკითხველს მისცემს ყოველ დღე 10 სვეტით მეტს საკითხავს მასალას.

რედაქცია ახალის წლიდგან განსაკუთრებულის ყურადღებით მოეპყრობა ჩვენს სასოფლო-სამეურნეო საკითხებს, ეცდება გაამდიდროს სალიტერატურო განყოფილება გაზეთისა და განსაკუთრებით ვრცლად აღნიშნოს ხოლმე ის მოვლენანი და დღენი, რომელთაც ჩვენში თუ შიდა რუსეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებათ.

ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისში:

„ივერიის“ რედაქცია,
ნიკოლოოზის ქ. № 21.

„ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიიდგან,
სასახლის ქ. ბანკის ქარვასლა,

ქუთაისში—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში,
ბაქოში—ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩა, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ. **ტელეფონი № 227.**

საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія“.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 6 დეკემბერს, 1901 წ.
ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქმნება:

ა. მ. პარგარელის საბენეფისოდ

ვლ. ალექსი-მესხიშვილის და ვ. აბაშიძის მონაწილეობით
ახალი პიესა

I

პატიოსნება

კომედია 4 მოქმედ. გ. ზუდერმანისა, თარ. ა. ახნაზაროვისა.

II

ადვოკატთან

ვოდევილი 1 მოქმედებ.

მონაწილეობენ: ქალბატონნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, კავთელი, ბატონნი: ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ჯანყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანოვი, სარჯველაძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია

მზადდება **„პატარა კახი“** „პედაგოგები“ **„უცნაური ხაფანგი“**

(3—უ.—2)

რეჟისორი ვ. გუნია

ქუთაისი
კბილის ექიმი
პ. გ. მახარაშვილი.
აკოფოვის ქუჩა, ბულვარის პირდაპ.
(3—248—1).

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ,ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანახიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ბძლიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შაპკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ქართველთა ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **საკერავს:** კაბებს, თეთრეულს, ქარგვას დ საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა, № 12.
(20—უ—15)

ფელეტონი

—

თ ა ფ ლ ო.

მოთხრობა
(შემდეგი *)

III

თაფლოს მამა გიგლო შეძლებული, ფულიანდარი კაცია. მოხერხებულმა გიგლომ ხელობით მოგროვილი ფული,—ცოტაოდენი ცოლის სათავნო ფულიცა ჰქონდა,—სოფლად დაატრიალა, გაასარგებლა, თან ფეხ-და-ფეხ საქონლის ვაჭრობაც დაიწყო და ამ რიგად კარგა ბლომა ფულს მოუყარა თავი. ეხლა გაჩაღებული სამიკიტნო-საწვრილმანო დუქანი აქვს გამართული; თავის საკუთარი არყის ქარხანა, დიდი ზვარი.

თითონ გიგლო, თუ აქეთ-იქით დადის სავაჭროდ და ტარებითაც ფულს იგებს, დუქანში შვილები უყენია, რომელთაც სწავლას სასწორი ამჯობინეს. გიგლოს იმისი ჯავრი კი არა ჰქონდა, „კურსი“ რატო არ გაათავეს ჩემმა შვილებმაო,—არა, ამას უნდოდა, რომ შვილებს ცოტაოდენა რუსული ლაპარაკი სცოდნოდათ, გიგლო სწავლას მხოლოდ ამ „რუსულის“ ცოდნით ჰზომავდა. „ეჰ,—იტყოდა ხოლმე ნაღვლიანად გიგლო,—ჩემთვის, რომ ჩემს დედმამას რუსული ესწავლებინათ, კაცი არ მემჯობინებოდაო“.—მამა შვილებს სულ იმას უჩიჩინებდა, სანამ სკოლიდგან გამოცვივოდნენ: „შვილო, იმდენი-კი ისწავლეთ, ორიოდე რუსული ლაპარაკი შეგეძლოთ, ცხოვრებაში გამოგადგეთ, თორემ თქვენი კურსი არ მინდა—რამდენი კურსოვნიკი ვიცი, მშივრები იხოცებიანო.“

მიტომ იყო გაბოროტებული გიგლო, რომ იმისმა შვილებმა ვერც კურსი დაამთავრეს და ვერც რუსული ლაპარაკი შეითვისეს. ან საიდგან უნდა ესწავლათ?—სანამ სამაზრო სასწავლებელში იყვნენ, ცალი თვალი სახლისაკენ ეჭირათ: აცა, როდის მოვა უქმე, რომ შინ გავქანდეთ, თოფები ავიღოთ და საკურდღლოდ წავიდეთო. ამათი სიკვდილი იყო სასწავლო დღის მოახლოვება. მეორე-მესამე დღემდის ესენი სკოლას არ დასძლევდნენ, შიგ არ შეიხედავდნენ.—ესე უგულოდ გაათრიეს რამდენიმე წელი სწავლაში. ამათის ურიგო ყოფა-ქცევისა და სიზარმაცისაგან მობეზრებულ სკოლის მთავრობას სულგრძელობა გამოელია. დაითხოვეს.

ეხლა მათ დუქანში ვხედავთ. დუქანშიაც ვაი-ნაჩრობით მოაკიდებინა ფეხი მამამ, მაგრამ აქაც თავიანთს ქარაფშუტობას არ იშლიდნენ—როდესაც მამას დუქანში ჰხედავდნენ, ცოტა რიგიანობა ეტყობოდათ, დაწყნარდებოდნენ და თუ თვალს მოარიდებდნენ, ვაი ქვასა და წყალს, იქაურობას აიკლებდნენ, თავზე აიცვამდნენ მთელს დუქანს. იცოდნენ, მამა არ მოუწონებდათ, ამიტომ ამბავი არავის მიჰქონდა მასთან, ან რა ჰრჯიდათ, როდესაც თვით აქეზებდნენ, ამათის ხელგაშლილობით ყველანი სარგებლობდნენ.

ნამეტანი უხვი წელიწადი მობრუნდა წელს გიგლოსათვის. სხვანი თუ წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ მოუსავლიან წელიწადს, გიგლო გახარებული იყო, რომ წელს ერთი ათად გაიტენავდა ჯიბეს. ხალხი რაც უფრო გაჭირვებულია, ამისი მზე მეტად მაშინ კაშკაშებს.—„კაკო, რა სასაცილო ამბავი გითხრა, ეტყოდა გიგლოს ცოლს, დღეს გამოვიარე ქორისაანთკენ. ქორისას ცოლს ფეტვის მჭადი წვრილად დაეჭრა, ძაფზე აესხა და გარეთ კაჩოზე ჩამოეკიდნა. გამხმარ მჭადის ნაჭრებს ისეთი ყოფა, ჩხარა-ჩხური გაჰქონდათ ნიავზე, გეგონებოდა ურემი მოჭრიალებსო. ვკითხე: ეს რათ გიქნიათ მეთქი?—„კიდობანში, რომ ეწყოს რბილად შეინახება, ბევრი შეგვეჭმებაო. ნეტავი იმდენი ფეტვი გვაშოვნინა, დღეში თითო ნაჭერი გამოვაძროთ, ეს წელიწადი ცოცხალი თავით გავიყვანოთ, მშივრები არ დავიხოცნეთო“.

— მაშ რა ქნან საწყლებმა? ან ეგრე უნდა მოიქცნენ, ან იგრე სამუშაოც რომ ვეღარ უშოვნიათ, ფულის შოვნა ხომ აღარსაიდამ არის,—თავის მხრივ იტყოდა კეკო.

— დღეში ათასი კაცი მოდის დუქანში, ოღონდ ორიოდე ფუთი ფქვილი მოგვეცი და ზამთარში დღეში ორ შაურათ გიშველი, პურის ჭამაზე წამოვალთ შენთან სამუშაოთაო.

გიგლოს იღბალზე, სოფელს ფოშტის ფულიც წელს ერთი-ორად მეტი შეაწერეს. „ვინც მამულსა ხმარობს და საქონელი ჰყავს, ფოშტის ფულიც იმან გაიღოსო“, გაიძახოდნენ ამოდენა ხარჯებისაგან წელ მოხრილი უსაქონლო მეკომურნი. აბა, თუ საქონელს უნდა გასწერდეს ხარჯიო, საქონლის პატრონნებმა მიჰყიდ-მოჰყიდეს ძროხა. გიგლოსაც ეს უნდოდა. ორ კვირაზე ასი თუმანი მეტი მოიგო გიგლომ.

ეხლა კიდევ ორი თვალი დუქანი ფქვილის ტომრებით აქვს გამოჭედილი.—გაყიდვასა და აწონვას ვერ ასდიან. მლოცავებივითა დგანან ამის დუქნის წინ ფუთობით, კოდობით ფქვილის მსყიდავები. რაცკი სადმე ვერცხლის აჯათი მოიპოვებოდა, სულ გიგლოს სახლში გაჩნდა. ოჯახის შვილებიც მიდიოდნენ გიგლოსთან ფულის სასესხებლად. „პურის სასყიდლად

---

*) იხ. „ივერია“ № 259.

ექიმი

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე. აქვს შესახვევი მასალა.

ავჭალის ქუჩა, № 85.

(142—242—3).

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი აგიაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ა. ზ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მალალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ექიმი-ქალი ც. ხ. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. ზ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი.—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მალალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ახალი ამბავი

⁂ ს. კავთის ხევში (გორის მაზრაში) სამს ახალგაზდა ქართველს განუზრახავთ მოჰკიდონ ხელი ფრინველთა მოშენებას. ამ საქმისთვის ინკუბატორი (წიწილების გამომჩეკელი მანქანა) უკვე გამოუწერიათ გერმანიიდგან და მოკლე ხანში მოქმედებასაც დაიწყებენ.

⁂ რკინის გზის მმართველობას განუზრახავს მომავალ წლიდგან მოუმატოს რკინის გზის მოსამსახურეების შტატებს.

⁂ ტფილისის სასულიერო სასწავლებელში ამ ჟამად არის თავისუფალი ადგილები სასწავლებლის მოძღვრისა და მესამე განყოფილების მასწავლებლისა. სასწავლებლის მთავრობას განზრახვა აქვს ორივე თანამდებობა ერთს პირს მისცეს. თორმეტს კაცს უკვე შეუტანიათ თხოვნები.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობაში თხოვნა შეუტანიათ მეორე თუმანოვის ქუჩაზე მცხოვრებლებს, რომ ხსენებული ქუჩა ამ მოკლე ხანში მოიკირწყლოს მათი ხარჯით. ამ საქმისთვის ფულის კრება უკვე დაუწყიათ.

⁂ ოქროს მადნების ნიშნები დუშეთის მაზრაშიაც აღმოჩენილა. „ცნობის ფურცელს“ შეუტყვია, რომ სამსახურიდგან თავის სურვილისამებრ დათხოვნილს მადნის ინჟენერს შოსტაკს (კავკასიის მადნების მმართველობის უფროსად ნამყოფს) კიდევაც დაუდგამს იმ ადგილებზე, სადაც მადანი საგულვებელია, ოქროს მიწის სარეცხი ხელსაწყო.

⁂ რამდენსამე პირს თხოვნა შეუტანია კავკასიის სამადნო მმართველობაში, რომ ნება დართონ მათ მარტყოფ-იორის მიდამოებში ოქროს მადნები ეძიონ. „Тифл. Лист.“ ატყობინებენ, რომ მთელი არე-მარე მარტყოფ-იორისა სავსეა ოქროს მძებნელებითო.

⁂ „Т. Л.“ შეუტყვია, რომ მიწად-მოქმედების სამინისტრო, ამ ჟამად იხილავს ოძისში დაბალ სამეურნეო სკოლის დაარსების საქმეს.

⁂ ქალაქის გამგეობა, „Т. Л.“ სიტყვით, ჰფიქრობს სამაგალითო ბაზრები გამართოს ქალაქის რამდენსამე ალაგას, სხვათა შორის, მადათოვის კუნძულზე და მუხრანის ბორანთან.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერს აღუძრავს საკითხი, რომ კვირაობით დასვენების უფლება ჰქონდესთ ფურნეებსა და საკონდიტეროებში მომუშავეებს.

⁂ იმ 9422 მანეთიდან, რაც მთავარ-მმართებელს გადმოეცა საპატიმროების მთავარსა-მმართველოს განკარგულებით ზოგიერთ ქალაქებში საპატიმროთა გათბობის და განათების ხარჯის გასასტუმრებლად, სიღნაღს მიეცემა 800 მან. და დუშეთს 400 მ. (1898 და 1899 წლების ხარჯთა დასაფარავად.)

⁂ ტფილისში არსებობს „შრომის ბიურო“, რომლის დანიშნულება არის შრომის მაძიებელთ საქმე აუჩინოს. დამაარსებელს და გამგეს ბიუროსას პ-ნს თამამშევს უკისრნია მომავალს იანვარში სახლის პატრონებისათვის საჭირო მეეზოვეთა დაქირავება. ამიტომაც მას მოლაპარაკება გაუმართავს როსტოვის არტელის წარმომადგენელთან, რომელსაც აღუთქვამს კიდეც 100 მეეზოვის შოვნა. თითოეულს მეეზოვეს ჯამაგირი ექნება 15 მანეთი სახლის პატრონის სასმელ საჭმელზე, თუ არა და თვეში 20 მანეთი ექნებათ.—მეეზოვემ თუ რამ დააშავა, პასუხის მგებელი არტელი იქნება.

⁂ „მთავრობის უწყებაში“ დაბეჭდილია:

ორშაბათს, 26 ნოემბერს მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე და 204 ობოიონის სათადარიგო ბათალიონის უფროსი გენერალ მაიორი თავადი ციციშვილი

⁂ ქალაქის გამგეობის სადგომში დღეს 5 დეკემბერს სხდომა ექნება სხვა და სხვა საქმეების განსახილველად იმ კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს თხოვნები დარჩენილ დასაფასებელ გარდასახადის პატიებაზე.

⁂ სოფლებიდამ ხშირათ დიდი საჩივრები მოდის ხოლმე მაზრის უფროსთან საქმის გამო გაგზავნილ მოხელეებისაგან, რომ ესა და ეს მამასახლისი არ გვაძლევს ლოგინს და უსათუოთ რკინის კრაოტებსაო. ამის გამო ტფილისის მაზრის უფროსმა ბრძანება მისცა ყველა თავის მამასახლისებს, რომ სოფელი მოვალე არ არის უსათუოდ რკინის კრაოტები და სუფთა ლოგინები დაახვედროს მათ. მოვალენი არიან მხოლოდ ოთახისა, შეშისა და ტახტისა სხვა, რამე ხარჯი თვით უნდა გადიხადოს.

⁂ კვირას, 9 დეკემბერს, ამიერ კავკასიის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელი იდღესასწაულებს თავის დაარსების 10 წლის შესრულების დღეს. ნაშუადღევის 1 საათზე წირვის შემდეგ სასწავლებლის საგანგებოდ მომზადებულ დარბაზში გაიმართება სადღესასწაულო აქტი, რომელზედაც მოწვეულნი იქნებიან სხვა და სხვა საპატიო პირნი. აქტის დროის, სხვათა შორის, ინსპექტორი სასწავლებლისა ბ-ნი სემენოვი წაიკითხავს სკოლის გამგეთა 10 წლის მოქმედების ანგარიშს. დასასრულ [illegible] გირდებს საჩუქრებს დაურიგებენ.

⁂ მიწად მოქმედების სამინისტროს განუზრახავს გამოიწეროს მემამულეთათვის დიდძალი შვეინფურსკის ბალახი (зелень), რომელიც ერთი საუკეთესო საშუალებად ყოფილა ცნობილი სხვა და სხვა მავნებელ მწერების მოსასპობად. ამ დღეებში მიწად-მოქმედების დეპარტამენტი შეჰკითხებია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას და სახელმწიფო ქონებათა კავკასიის რწმუნებულის კანცელარიას, თუ რამდენი გამოგზავნონ კავკასიისათვის ამ ბალახის თესლი.

⁂ ტფილისის ქუჩებში ხშირად შეხვდებით ბავშვებს, რომლებიც მუნჯობას იგონებენ, ზოგი იმახინჯებს ფეხს, ან ხელს და მათხოვრობენ. ეს ბავშვები თურმე, როგორც თვით ერთ მათგანს უთქვამს, დაქირავებული ჰყავს ვიღაც სალდანიანცს, რომელსაც ბავშვები დაურწმუნებია, რომ მთავრობის განკარგულებით ყველა მათხოვარი ჩემთან უნდა გამოცხადდეს და მე უნდა ვაძლიო ჯამაგირი დღეში ერთი აბაზი და რაც მეტს იშოვნით, ის მე უნდა წარმომიდგინოთო. საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ საქმეს.

⁂ გუშინწინ ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც უნდა განეხილა პროექტი ტფილისის მცხოვრებთა სახლებზე ახალის ფორმის ნომრების გაკეთების შესახებ. იჯარადარმა ვეჩბაიზერმა ითხოვა ასეთი ნომრები მის ქარხანას დაამზადებინონ. კომისიამ დაადგინა: მოეთხოვოს 500 მან. ბედ ვეიჩბაიზერს, რომელსაც უნდა ხელშეკრულებით მიენდოს სახლების ნომრების დამზადება თითო 75 კაპ., და ეთხოვოს ქალაქის გამგეობას, რომ მან პოლიცია დაიხმაროს როგორც ნომრების საუკეთესო ღირსების ლითონისაგან დამზადებისათვის თვალყურის საგდებლად, აგრეთვე მცხოვრებლებზე ნომრების ხვედრი ფულის ასაღებად.

მოვდივართ, როგორც იყოს წელს ხელი გაგვიმართე, სული მოგვაბრუნებინე და სარგებელზე ნუ დაგვცავ, რამდენიც გინდოდეს გამოგვართვიო“. ფულის გასესხებაში გიგლომ არ იცის უარი, მხოლოდ უვექსილოდ არავის ენდობა. „რა ვიცი, კაცის თავს რა გვიწერიაო“. თუ აქამდის მდიდარი იყო გიგლო, წელს ყელთამდის აივსო, მოპინტრიშდა. მაგრამ ხალხის ასეთი გაჭირვება გიგლოს მაინც ცოტად ეჩვენებოდა: „ჯერ ეს რა არის, გაჭირვება შემდეგი ნახეთო“.

მოხვეჭის სურვილით გატაცებულს გიგლოს ერთ ადგილას კაცი ძნელად-თუ მოჰხელავდა; მთელი დღე სახლში იშვიათად გიჩერდებოდა—მომეტებულ ნაწილად შვილები გულ-რბილ კეკოს ანაბარას იყვნენ მიტოვებულნი, მისგან გაყვინიზებულნი. მთელი სახლი, უბანი რომ აეკლოთ, კეკო ხმას არ გასცემდა, ერთხელ თავის შვილებს არ გაამტყუნებდა. „მამა თქვენს ვეტყვი, თუ არ დასწყნარდებითო“ დაემუქრებოდა კეკო ვაჟებს, მაგრამ იმათ იცოდნენ, დედა არ დააბეზღებდა, რადგან თითონვე გამწარდებოდა, ვახშამი გაუმხამდებოდა,—იმ ღამეს გიგლო შვილებს სულს ამოაძრობდა, თოკით ჩამოჰკიდებდა მაღლა, მათრახით, ქამრით ბეჭებს აუჭრელებდა.

თაფლო უფრო მომეტებულს სიდუხჭირეში იყო მამის ხელში ჩავარდნილი. ვაჟები მამას გაიცილებდნენ, თუნდა თავყირაზე დადგებოდნენ, თაფლოს-კი—როგორ შეეძლო უდედ-მამოდ ეზოს გასცილებოდა. თაფლოსათვის უნდა გაეცივ-გაეცხელებინა, თუ მეზობლისას გაიგებდა მამის მოსვლას. „ჰაი შე ძაღლის წიწილავ შენა, რა დაგაწანწალებს სალახანა გოჭივით აქეთ-იქით“?.. სტაცებდა თმაში ხელს, და იმდენს ათრევდა, სანამ გულს იჯერებდა, თაფლოს დააოსლებდა. როგორ შეეძლო კეკო მიჰშველებოდა, გადაჰფაფრდებოდა, იმასაც ზედ მიაყოლებდა. ამდენი ხნისაა თაფლო, და არ ახსოვს სადმე ლხინის დროს უცხო კაცს სთამაშებოდა, უცხო კაცის თავის დაკვრაზე დავლურში გასულიყო. ღმერთმა ნუ ქნას, გიგლოს რომ თვალი მოეკრა, ორთაშუაზე აჰკუწავდა. „ქალი რა მიქვიან, რომ უცხო კაცს ეთამაშოსო. იქნება ან ხელი მოუხვდეს, ან ჩოხის კალთა მოარტყასო... ბარემ ლეჩაქი მოიხადოს, ნამუსი შეირცხვინოსო“.

ასეთის შეხედულებისა იყო გიგლო ქალის გარეთ გასვლაზე ქალის კაცთან დამოკიდებულებაზე—რაღა გასაკვირველია, გიგლო მთლად გადაირია, სიბრაზისაგან ხორცებს იგლეჯდა, როდესაც გაიგო,—თაფლო პავლეს საეჭვოდ ეკურკურება, ერთად ნალაპარაკევი ხშირად უნახავთო. „როგორ თუ თაფლო თავს უყადრებს, ელაპარაკებაო!? თან-და-თან ენთებოდა გიგლო,—ვიღაც გამოტლეკილმა, მშიერი გუდა პავლემ, რომელსაც თავისი თავიც კი ვერ შეუნახავს, იმან ცოლშვილი როგორ უნდა აცხოვროს?!.“ თანაც, თითქო არ უნდა დაიჯეროსო: „არა მგონია თაფლომ მამის დაუკითხავად ეგეები გაბედოს. ჩემს ნებადაურთველად ისე არ გაკადნიერდება, რომ უცხო, გარეშე კაცს ლაპარაკი დაუწყოს, ახლოს მიეკაროსო.“

ეს საშინელი აზრი ამას ვერ მოენელებინა, გულ-ღვიძლს უღადრავს, გავარვარებულ შამფურივით სჩხვლეტს: „ცოცხალს არ გაუშვებ ჩემის ოჯახის შემრცხვენელს, თავსლაფ-დასხმულს! დაიკარგოს, მომშორდეს!.. მაგრამ არა, ქვეყანამ დაინახოს, რომ ჩემი შვილი ჩემს უნებურად ტუჩსაც ვერ დაატოკებს. ისეთი გადარეული ვინ იქნება, ბედნიერებას წიხლი დააჭიროს, მდიდარი საქმრო ხელიდგან გაუშვას, ლატაკს კი ზურგზე წამოეკიდოს? ოჯახიშვილები მეხვეწებიან, არ ვაძლევ, რა არის,—ეხლა ოჯახიშვილებისათვინაც ცხოვრება გაჭირდა. ტკბილ ლუკმას ვაჭარი-ღა სჭამს, დახედეთ?!. მოიცა, მე ვიცი, შენ არა გკითხამ, ვისაც მიგცემ“...

— კეკო, — სახლში მისვლის უმალვე მკვახედ შეუტევა ცოლს გიგლომ,— სად არის შენი ქალი, სადა ბრძანდება?

— რათა ჰკითხულობ, რა ამბავია, რამ გაგაჯავრა, დავლაზე ხომ არ წავიდოდა? განცვიფრებული დაეკითხა კეკო ქმარს.

— აკი აქამდისაც არა ვკითხულობდი, შენს სინაბარასა მყვანდა მიგდებული, მაგრამ დახე, რა საქმეს მიშვრებით,—ქვეყანაზე თავსა მჭრით.

— როგორ, თუ თავსა გჭრით, რასა ლაპარაკობ, კაცო? სწორედ სთქვი, რატო მე შენი სიტყვა ვერ გამიგია?

— აგებნას შენ თავ-ტანი, შე უკუღმა გზაზე სატარებელო! მითომ და მე შვილები არ მიყვარდეს.. ეგე დაქომაგებამ, შვილების განებივრებამ ეგ იცის: შენ აღარც კ გაცლის შენი ქალი.—საქმროს უშნოდ ვერა შოულობს, ვერ ირჩევს რა?!!.

— როგორ თუ საქმროს ირჩევს, ვერა გამიგია-რა!.

— შე ოჯახ დასანგრეო, შენა, ქვეყანა შეიძრა, შე-კი ბამბა დაგიჩურთია ყურებში?.. შენი ქალი კონიას პავლეს აჰკვიატებია. თუ იმის ნებაზე მივაგდეთ, რასაკვირველია, ცოლადაც გაჰყვება.

— შენც აჰყოლიხარ ქვეყნის ხმას! იმის დედას სხვათა მოსამსახურეობაში ამოსდიოდა აქამდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ გუშინ სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე თადეოზ ცხელიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა. ოლქის სასამართლოს ცხელიშვილი გაუმართლებია, ხოლო ბრალმდებელს პროტესტი განუცხადებია სამოსამართლო პალატაში. პალატამ დამნაშავედ იცნო ბრალდებული და გარდაუწყვიტა 2 თვის ვადით ციხეში დაპატიმრება.

⁂ გუშინ, 4 დეკემბერს, წმინდა ბარბარობას დიდი ძალი ხალხი დაესწრო, უფრო იმისთვის, რომ ამინდმა ხელი შეუწყო. საღამოს ანს, როდესაც მლოცველები დაბრუნდნენ, გზაში ეტლმა გასრისა 6 წლის ბავში.

⁂ როგორც შევიტყეთ, ყარსის ოლქში ს არდაგანსა და ოლთისის შუა დაწყებული გზა ამა მიმდინარე თვის 20 რიცხვებამდე იქმნება დამთავრებული

⁂ 2 დეკემბერს, ღამე, თავს დაესხნენ სოფელ წალახკურის მცხოვრებებს იოსებ ბედალაშვილს ორი თათარი, ერთ მათგანმა ნური-ალეჟი-თღლიმ დასცა ცული თავში. დამნაშავენი ჯ-რ ვერ უპოვიად, გამოძიება სწარმოებს.

⁂ დღეს, 5 დეკემბერს ავჭალის სახალხო კითხვათა და წარმოდგენების სადგომში ქართულ სცენის მოყვარენი ბ-ნის ვიმინიძის რეჟისორობით წარმოადგენენ ბ-ნ ვ. გუნიას მიერ ნათარგმნ მელოდრამას „პარიჟის ღარიბ ღატაკნი“, წარმოდგენა დაიწყება საღამოს 7½ საათზედ.

⁂ პოლიციის მე-9 ნაწილში თ. დ. გენატის განუცხადებია, რომ მას ვიღაც ბოროტგანმზრახველნი დრო გამოშვებით ჰპარავენ სიფონებს და ბოთლებს შუშხუნა სასმელებით სავსეს. პოლიცელს გურგენიძეს მიუგნია ამ გენატის ქარხნის ქურდებისათვის. ესენი ყოფილა ტიგრან ერემოვი და პავლე ქინქარაძე, ორნივე ბავშვები რომელნიც გამოტეხილან კიდეც და განუცხადებიათ, რომ ჩვენ გვაბრიყვებდნენ სპარსეთის ქვეშევრდომნი უსეინ რაზა-ოღლი და ას.ნ ისმაილოვიო. პოლიციამ დამნაშავეები დააპატიმრა და გამოძიებას შეუდგა.

სასოფლო მეურნეობა.

—

ცნობები მეაბრეშუმეობის შესახებ.

1 დეკემბერს, ქუთაისი. უკანასკნელი ცნობებია საზღვარ-გარეთიდგან, რომ აბრეშუმეულობის ვაჭრობამ ცოტა გაიღვიძა. აბრეშუმის ფასმა, ძაფისამ, კილოზე ერთ ფრანკამდის (ფუთზე 6 მანეთამდის) მოიმატა. შედარებით პარკის ფასიც აიწია. ამ დღეებში მეაბრეშუმეთა ამხანაგობამ გაყიდა იანვარში ჩასაბარებლად (á livrer) 2000 კილო (120 ფუთამდის) პირველი ხარისხის თეთრი პარკი, კილო ცხრა ფრანკად და ამდენივე მეორე ხარისხის პარკი, კილო რვა ფრანკად და 60 სანტიმად. შარშან კი პირველი ხარისხის პარკი რვა ფრანკზე ზევით არ გაყიდულა. პარკი შარშან მეტი ღირსებისა იყო, ვინემ წელს.

კარგად ახსოვს მეაბრეშუმეებს, თუ მდგომარე წლის დამდეგს წლევანდელი მოსავლისათვის, რა დიდძალი თესლი იყო მეთესლეებისაგან, თუ კერძო ვაჭრებიდგან გასასყიდად ჩამოტანილი. თან თებერვალმა და მარტმა ცხელი ამინდები დაიჭირა, ასე რომ, თესლის გამოსვლა, როგორც ბჟოლისა და სხვა მცენარეულობისა, ერთი თვით ნაადრევი შეიქნა. ამხანაგობას კი თესლი შეკვეთილი ჰქონდა წინაწელშივე, და, რასაკვირველია, ჩაიბარა კიდეც მეთესლეთაგან. მოხსენებული მიზეზებით ამხანაგობას 2,000 კოლოფამდის დაურჩა გაუყიდველი თესლი და დიდ ზარალსაც ნახავდა, თუ რომ გამომყიდველებს, მეთესლეებს არ მიეღოთ თავის თავზე ზარალის აღდგენა... საქმე ის არის, რომ ჩვენს მეაბრეშუმეებს, საზოგადოდ, ცუდი ჩვეულება აქვთ წინა დროიდგან დარჩენილი, რომ თესლს აპრილში და თვით მაისში ბაზარ-ბაზარ დაეძებენ და ერთ კოლოფ თესლს გაჭირვებული მეთესლისაგან თითო აბაზად და ხშირად მუქთადაც იძენენ. თუმცა, საბედნიეროდ, ესვე არ ითქმის ამხანაგობასთან დაახლოვებულ მეაბრეშუმეებზე, რომლებიც ათი-ათასობით კოლოფს თესლს იძენენ ფულზე ამხანაგობისაგან, მაგრამ საზოგადოდ კი ასეთი ჩვეულება არის გავრცელებული მეაბრეშუმეებში. და სანამ ასე იქნება, იმედი არ უნდა გვქონდეს პარკის ჯეროვანი მოსავლისა ჩვენში. სხვაგან, საბრეშუმო ქვეყნებში არაფრისათვის მეაბრეშუმე ბაზარში თესლს არ იყიდის უცნობი გამყიდვლისაგან და ისიც აპრილ-მაისში. ის წინდაწინვე მთელი სოფლობით მოლაპარაკებული და მორიგებულია მეთესლესთან, რომ მიიღოს მისგან საჭირო თესლი გადაჭრილ ფასად, ან მოსავლის ნაწილზე ნაღდ ფულად, ან ნისიად მოსავლამდის და იხდის შვიდ მისხლიან (30 გრამმი) კოლოფში სამიდან ხუთ მანეთამდის. ამას გვეუბნება იტალიის და საფრანგეთის მეაბრეშუმეობის სტატისტიკა. ასეთი ყოფაქცევა გონივრულიც არის და, რაღა თქმა უნდა, ხელ საყრელიც, როგორც მეთესლისათვის, კიდევ უფრო მეაბრეშუმესათვის.

წელს მეაბრეშუმეთა ამხანაგობას მომავალი მოსავლისათვის თესლი ჯერ არ დაუკვეთია. ეს ანორმალური მოვლენა გამოწვეულია ერთის მხრით მეაბრეშუმეთა და მეორეთი მეთესლეთა უწეს-რიგო ყოფაქცევისაგან. პირველებზე ზევით მოგახსენეთ; მეთესლეთა შესახებაც საჭიროა ითქვას, რომ არც ისინი იქცევიან ისე, როგორც შეეფერება მათს მდგომარეობაში მყოფ ვაჭარს. აბრეშუმის ჭიის თესლი ხორბალი, ან ბრინჯი ხომ არ არის, რომ გამოიტანო ბაზარში, ან მაღაზიაში დააწყო და მუშტარს უცადო!? მეთესლეები (თუ თესლის ვაჭრები) კი ჩვენში სწორეთ ასე იქცევიან! ჯერ ხორბალიც ბლომად ბაზარში გონიერს გამყიდველს არ გააქვს, სანამ მუშტარს არ აიჩენს. შარშანდელმა წელიწადმა, მგონი, ბევრს მეთესლეს უნდა ასწავლოს ჭკუა. ზოგი ჭირიც მარგებელიაო, ნათქვამია.

საჭიროა საქმე მოწეს-რიგდეს, გამყიდველმა და მყიდველმა წინ და წინ ნახონ ერთმანერთი და მორიგდნენ. მადლობა ღმერთს, მეაბრეშუმეებმა ამხანაგობანი დაიარსეს. რატომ არ მიმართავენ სათითაოდ კი არა, ˚სოფლობით ამხანაგობას? მეთესლეც რატომ ასე არ იქცევა? ერთი იმიტომ, რომ ჩვენში ყველაფერი წამხედურობით არის და მეორე, ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ვაჭრობის საქმეში, ფეხს ახლა ვიდგამთ. მეაბრეშუმეთა ამხანაგობამ, რომ თესლი და პარკი იყიდოს და გაყიდოს, ეს ხომ მისი საქმეა, მაგრამ ყველა შეუგნებელმა ვაჭრებმა და ჩარჩებმა რომ ამავე საქმეს მოჰკიდონ ხელი—განა სასარგებლო იქნება? ჩვენში კი ასეა და...

ნ. წერეთელი.

დაბა და სოფელი

—

სოფ. რუისპირი. (თელავის მაზრა) სოფ. რუისპირს ამ წლის იანვარს აქეთ საკუთარი მამასახლისი აღარა ჰყავს, რადგანაც სოფელ ვარდისუბანსა და იყალთოს შეუერთდა. ეს სამი სოფელი ეხლა ერთი საზოგადოებაა, რომელსაც რუისპირის საზოგადოება ეწოდება. საზოგადოებას ჰყავს ერთი მამასახლისი და ერთი მწერალი (რუსია), ხოლო სოფლებს ცალკე თითო ნაცვალი თავისის თანაშემწეთი. რადგანაც რუისპირი ვარდისუბანსა და იყალთოს შუაა მოქცეული, ამისათვის სოფლის კანცელარია მოთავსებულია რუისპირში, სადაც მუდამ კვირა იკრიბება სამივე სოფლის საზოგადოება.

ამ ორის კვირის წინად ხსენებულს საზოგადოებას კანცელარია ძალიან კარგსა და ფართე ეზოიანს სახლში ჰქონდა მოთავსებული, სადაც, რაც უნდა ცუდი ამინდები ყოფილიყო, არ ალაფდებოდა. ახლა კი კანცელარია ისეთს სახლშია მოთავსებული, სადაც მამასახლისი მუდამ დღე ისიამოვნებს და ხალხიკი შეწუხდება მუხლებამდის ლაფში ტრიალით. ახლად დაქირავებულს საკანცელარიო სახლს ეზო პატარა აქვს, ორმოცს კაცს ძლივს დაიტევს; მაშინ როდესაც სამივე სოფლიდგან მუდამ კვირას ორას-სამასი კაცი იკრიბება ხოლმე. კანცელარიის დაქირავება და გადატანა-მოტანა ერთის ადგილიდგან მეორე ადგილზე, რასაკვირველია, მამასახლისის ნებაა და იმას ეკითხება, მაგრამ ის-კი უთუოდ უნდა იფიქროს, რომ ხალხისათვისაც მოხერხებული იყოს... მაგრამ რას იზამთ, რომ ზოგიერთს თავისის თავის სიამოვნება ყველაფერს ურჩევნია?

წლევანდელი წელიწადი უმოსავლო წელიწადი იყო რუისპირელებისათვის: ღვინო ნახევარზედ მეტს არ მოჰსვლია და პურიც ნახევარ წლის საზრდოთ არ შეჰყვებათ. ამ წელიწადსაც შარშანდელივით ისევ სიმინდით უნდა გამოიკვებნენ რუისპირელები, რაცა, მადლი გაჩენსა, საკმარისად მოუვიდათ: კოდი პური სამ მანეთ-ნახევრიდგან ოთხ მანეთამდის ფასობს, სიმინდი ორი მანეთიდგან თორმეტ აბაზამდის. აქაურები წრეულს სიაფისა გამო უფრო სიმინდს ეტანებიან სასყიდლად, ვიდრე პურს. ჯერ-ჯერობით აქეთ მშვენიერი თბილი ამინდებია, რაიცა ჯეჯილების ამოსვლას ხელს კარგად უწყობს. ავადმყოფობის ხმა არსაიდგან ისმის; ყველგან სიმშვიდეა.

გ. სეხ-შვილი.

—

ერევანი. ქრისტეშობისთვის ექვსს, 12 საათზე, ერევანში მოვა პირველი მატარებელი ალექსანდროპოლიდგან. რკინის გზის კეთებას შეუდგნენ ამ ერთის წლის წინად ალექსანდროპოლიდგან ერევნამდე. ექვსს ქრისტიშობისთვეს უკანასკნელ რელსებს დააწყობენ და შემდეგ მოვა მატარებელიც ალექსანდროპოლიდგან; მატარებლით მოვა თვით ვურცელი, გზის უფროსი; მატარებელს დახვდებიან გუბერნატორი, მღვდლები, სხვა-და სხვა წესდებულების წარმომადგენელნი და ქალაქის თავი. პარაკლისის გადახდის შემდეგ გზის უფროსი მიიწვევს სტუმრებს საუზმეზე ერევნის რკინის გზის სადგურში, სადა სტუმრებისთვის იქნება მომზადებული საუზმე. თვით ქალაქი ერევანი გაუმართავს იმავე დღესვე სადილს სტუმრებს.

სული. ჩემი თაფლო ისეთი ქალი არ არის, რომ იმის გამოღარღაცებულ სახლში იკადროს შესვლა. ნეტავი სახლი მაინც ედგათ! საცაა დღეს, თუ ხვალ ი ქოხი თავზე წამოექცევათ. წვიმის დროს საბნებ წამოსხმულები, რომ არ დაეგნენ სახლში, დალოპარტდებიან თავიდგან ფეხთამდის...

— შენ რაც გინდა ილაპარაკე. აქამდის არ ვიცოდი ეს ამბავი, დღეს გავიგე, თორემ გუშინ, რომ სონკადამ კაცი მომივიდა—„შენი ქალი მომათხოვე“-ო, მაშინათვე თანხმობას შევუთვლიდი. ეხლავე კაცს ვაფრენ, ხვალვე მოვიდეს, ჩემს ქალს ბელგა მისცეს.

— მოიცა გიგლო, ჯერ ერთი ი გოგოს ვკითხო, იქნება სულ ტყუილი ჭორიც გამოდგეს... ეგრე აჩქარება ვინ გაიგონა?..

— იმას რა უნდა ჰკითხო? შენ რით არ იცი, რომ ჩემის ცოცხალის თავით პავლეს სახლში არ შემოუშვებ. სიძედ არ გავიხდი, თვალს არ გაუსწორებ, არ შევხედავ!!.. კაცი ვამბობ: ჩემს ქალს კურსოვნიკებსაც არ მივსცემ,მეთქი. ეხლანდელს დროში კაცს ჯიბეში თუ ფული არა აქვს, გარეთ თავს ვერ გამოჰყოფს, გროშათ არა ღირს. პავლეს მჭადის კუტიც ენატრება, შიმშილისაგან კუჭი უცხვება, თუ აცვია რამე, ისიც ვალით და ვახჩით—გუშინ სახედარზე გადაეკიდნა ოთხი ნიტრა ფეტვი და წისქვილში მიჰქონდა. კაცი დღე—დღიურათ ნიტრობით ძლივა შავშაობს, იოლას მიდის. ერთიცა ვნახოთ ორი სამი თვის ავადმყოფობა უწერია, მაშინ ჩემი შვილი რამ უნდა შეინახოს, ვის სინაბარას უნდა გახდეს, სიდუხჭირეში ჩავარდნილი?!...

— მაშ, მაშ! უკაცრაოდ... კონიასთვის არ გამიზდია ქალი?!... მედიდურად გააქნივა თავი და ხელები კეკომ...

— აი ჩემი ყადარი კაცი სონკაა, ჯერ ოცდა თხუთმეტის წლისა ძლივს იქნება, მაგრამ თავიანთ სოფელში ეხლა აღარავინა სჯობია. როგორი ქვიტკირის სახლები წამოჰიმა!.. მტერსაც კი ესიამოვნება. წინედ კი გამიგონია, თურმე ძრიელ ღარიბები ყოფილან, იმის დედა სოფიოს ქვრივ-ოხრობით, რის-წვალებით დაუზდია შვილები. მაგრამ შენ კაცი მითხარ! შნო უნდა ჰქონდეს, ბედნიერ ვარსკვლავზე უნდა დაიბადოს ყისმათიანი, თორემ ფულები ბზესავით გაგიჩნდება ჯიბეში.

— გენაცვალე, გიგლო,—ტკბილად მოეალერსა ცოლი,—შენ, რომ მოგწონს სანკა, ახლა თაფლოს არა ჰკითხავ? იქნება ი კაცზე თვალი სულ არ მიუვიდეს? ქალს კაცი თვალითაც არ დაუნახავს ჯერ და ესე უცბად დანიშვნა რაღა ცეცხლი და ბალაა? ასეთი აჩქარება ვინ გაიგონა! რა გაჭირვება გვადგა კიდევ, თორემ ჰა, სასიძო ველარ გვიშოვნია, თუ დაგვიბერდა, გასათხოვარი გვრჩება?!.

— ემანდ ხმა გაკმინდე, სასა გაიქრე, თორემ ამაზე მეტი აღარ ჩავიდა ყელში! ვინა გკითხავთ ან შენ, ან თაფლოს სიძის არჩევას. თუ ერთი კიდევ სიტყვა დაგიმთქნარებია, პირი დაგიტოკებია,—ღვთის წყალობა მაქვს,—თქვენ კარგ კარგებს გამომტყუებთ! ვინც თაფლოსათვის სარჩევი, სამჯობინარია, მე თქვენზე კარგათ ვიცი. მაშ არა და ქვეყანას ვაყაყანებ, „ვიშ ქა, ეს რა შერცხვენა მოუვიდათ, რის მძებნელებმა და ვინ იპოვნეს,—რა უძირო ორმოში ჩავარდნენო!“

თვით ნება გიგლოსთან კეკორას გააწყობდა.—მთელი ოჯახის ჩარხი სულ გიგლოს სიტყვაზე ტრიალებდა, უიმისოდ ნემსს ვერ გადააბრუნებდნენ. იმ საათშივე შეუთვალა გიგლომ სონკას: თანხმა ვარ. მოემზადე, ხვალ საღამოთი მოდით, ჩემს ქალს ნიშანი მიეციო.

თაფლომ ეს ამბავი დედისაგან გაიგო.

— მამაშენს ეჭვით სადღაც ყური მოუკრავს, ვითომ შენ საქმრო ამოგერჩივნოს... გაჯავრებული ამაღამვე ჩანკაანურ სონკაზე გნიშნავს; ვერა ხედავ დღეს მამაშენი, როგორი მზადება—ფაცი ფუცშია?..

როგორც თოფი მიარტყას კაცს ვინმე გულში ანაზდეულად და უცბად გაუშვას, ისე მეხივით დაეცა დედის სიტყვები თაფლოს, რომელიც ფერ-მიხდილი, მიკნავებული იქვე ახლო მდგომ სკამს მიეყრდნო.

— რა იყო, შვილო, რა დაგემართა?!... მივარდა კეკო თაფლოს.

— არა ფერი,—დედის ხმაზე მალე შეიმაგრა გული თაფლომ, ქვეყანა არ შეიყაროსო.—მერე მე აღარა მკითხავთ, გავყვები ცოლად თუ არა ვიღაც, სონკაა, თუ ჯანდაბა?!!...

— რა ვქნა, შვილო, ჩემი რა ბრალია? ბევრი ველაპარაკე მამაშენს, მაგრამ,—ხო იცი იმისი ხასიათი,—რასაც ამოსთქვამს, აღარ ჩასთქვამს-–შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი. ძრიელ კი აქებენ შენ საქმროს. მთელს ჩანკაანში იმისთანა მდიდარი არავინ გამოვაო.

— ძრიელ მეჭაშნიკება იმისი სიმდიდრე!...

— როგორ თუ არ გეჭაშნიკება!!.. ამაღამა გნიშნავთ კაცზე და არც კი გინდა იკითხო, ვინ არის, რა მოხელეა?!..

— როგორ, თუ მნიშნავთ, ხომ არ გაგიჟებულხარ, დედა კაცო?... თან და თან შენ რატო მაგრე ქვა გაკლდება?! თუ ჩემი სიკვდილი გინდათ, ის მოთხარით!... ხმა მაღლა შეუტივა თაფლომ დედას.

ეგ. მ—შვილი.

(შემდეგი იქნება).

ქრისტიშობისთვის ექვსს ერევნიდგან დაიწყება მიმოსვლა მატარებლისა ალექსანდროპოლამდე, თუმცა სადგურები ჯერ ჯეროვნად გამართული არ არის. მატარებელი ეხლაც-კი დადის კარხუნიდგან ალექსანდროპოლამდე (კარხუნი ეჩმიაძინს ახლოა), მაგრამ ვაგონები მოწყობილი არ არი მოგზაურთათვის.

ქრისტიშობისთვის ექვსს, ხელმწიფე იმპერატორის დღესასწაულის დღეა და ამ დღესვე ერევანი შეუერთდება მთელ რუსეთს რკინის გზით, და ამიტომ ეს დღე ძლიერ შესანიშნავი დღეა მთელი ერევნისათვის. თუ აქამდინ ქალაქი მიძინებული იყო, ეხლა უნდა უეჭველად გამოიღვიძოს ღრმა ძილიდგან. აქამდინ თუ ერევანი ყოველ მხრივ ჩამორჩენილი იყო უკან, ეხლა რკინის გზა, იმედია, გაუადვილებს ცხოვრების გზაზე წინსვლას...

აგრონომი მ. ზ—ლი.

უცხოეთი

—

გერმანია. ყველას ყურადღება გერმანიაში დღეს პარლამენტისაკენ არის მიქცეული. ყველანი, მდიდარი და ღარიბი, კაპიტალისტი და პროლეტარი, მრეწველი და მიწადმოქმედი, ერთნაირის მოუთმენლობით ადევნებენ თვალ-ყურს დეპუტატთა კამათს საბაჟო ტარიფის პროექტის გამო. არც საკვირველია: თავის და თავად მშრალ საგანს—ტარიფს ნამდვილად არსებითი მნიშვნელობა აქვს მთელის გერმანიისათვის. იგი ყველას ინტერესებს ეხება, როგორც მრეწველის, ისე მიწად-მოქმედის, როგორც მუშის, ისე სამუშაოს გამცემისას. გრაფმა ბიულოვმა მართალი სთქვა პარლამენტში, რომ გერმანია არც სამრეწველო და სამიწად მოქმედო სახელმწიფოა, იგი ერთიც არის და მეორეცაო. ეჭვი არ არის, ახლო მომავალში ვაჭრობა-მრეწველობა დასჯაბნის მიწად-მოქმედებას, მაგრამ ამ ხანად ორივე ეს დარგი ერთნაირადაა გაბატონებული. ზოგ პროვინციაში, როგორც მაგ. ბავარიაში, მცხოვრებთა უმრავლესობა მიწად-მოქმედებითა. სცხოვრობს, ზოგში კიდევ, საქსონიაში, მაგალითად, მრეწველობით. საქსონიის მცხოვრებთა 72°/₀ მრწველობას ადგია და მხოლოდ 15 პროცენტი—მიწად-მოქმედებას. ახალი საბაჟო ტარიფი სარფა და ხელსაყრელია მიწად-მოქმედებისათვის (უმთავრესად მსხვილ მეურნეთათვის), ხოლო საზარალო და მავნებელი—მრეწველობისათვის. იმის გარდა, რომ ახალი ტარიფი დააძვირებს სოფლის ნაწარმოებს, მაგალითად პურს, იგი ხელს შეუშლის სავაჭრო ხელშეკრულებათა დადებას, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიისთვის. პურის გაძვირება გაჭირვებაში ჩააგდებს მუშებს (ამათი რიცხვი 8 მილიონია გერმანიაში) და იმ უთვალავ ღარიბ-ღატაკებს, რომლებითაც სავსეა დღეს დიდი და პატარა ქალაქები, ხოლო სავაჭრო ხელშეკრულებათა არ დადება შეაფერხებს მრეწველობას, რაიცა საზარალოა იმავე მუშებისა და აგრეთვე მრეწველთათვის. მკითხველი ადვილად მიჰხვდება ამის შემდეგ, ვინაა გერმანიაში მოწინააღმდეგე ახალის ტარიფისა და ვინ მომხრე. ტარიფის პროექტმა ორად გაჰყო გერმანია: ერთს მხარეს მრეწველნი და მუშები არიან, მეორე მხარეს—აგრარიები. პარლამენტშიაც და პარლამენტს გარედაც ბრძოლა ამათ შორისაა.

ყველაზედ გულ-წრფელად ამ ბრძოლაში სოციალ-დემოკრატნი მოქმედობენ. ისინი არ ერიდებიან სიმართლის თქმას და აგრარიებისავით არ გაიძახიან, ჩვენ შორის ჩამოვარდნილი განხეთქილება გარეთ არ უნდა გამოვიტანოთ და უცხო ქვეყნელთ არ უნდა ვაჩვენოთო. ცხარე და საყურადღებო კამათი ტარიფის შესახებ 22 ნოემბერს იყო. ამ დღეს ილაპარაკა ბებელმა, სოციალ-დემოკრატთა წინამძღოლმა. ბებელზედ ადრე სამმა მინისტრმა წარმოსთქვა სიტყვა. სხვათა-შორის ვაჭრობის მინისტრმა მელლერმა განაცხადა, რომ ახალი ტარიფი კომპრომისს წარმოადგენს, რომელმაც ორი მხარე უნდა შეარიგოსო—მრეწველობა და სასოფლო—მეურნეობა. მრეწველობასა და მიწად-მოქმედების შორის უთანხმოება ჩამოვარდა, უნდა თავიდგან ავიცილოთ ეს უთანხმოებაო. თითქმის ესევე აზრი გამოსთქვა ორმა სხვა მინისტრმა, ხოლო წინად—თვით კანცლერმა ბიულოვმა.

სულ სხვა სთქვა და სხვა რიგად ილაპარაკა ბებელმა. ამ ნიჭიერმა ენა-მახვილმა ორატორმა უპირველეს ყოვლისა გრაფ ბიულოვს მიჰმართა: თქვენ მოუწოდეთ ჩვენ პატრიოტიზმს, სთქვა ბებელმა, და გვთხოვეთ არ დავივიწყოთ ის გარემოება, რომ უცხო-ქვეყნელნიც ყურს გვიგდებენ. მაგრამ დაგავიწყდათ, ბატონო გრაფო, რომ თვით თქვენ ახლის პროექტით ერს ორად ჰყოფთ: ცალ მხარეს ექსპლოატორებს აყენებთ, მეორე მხარეს იმათ სახრავად და საკვებად გადაქცეულ უმრავლესობას. თქვენ პირველის სახელით ილაპარაკეთ, მე ვეცდები მეორის აზრი გაგაგებინოთო. შემდეგ ბებელი შეეხო აგრარიების მოქმედებას, იმათ ორპირობას. ადგილი ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით მოვიყვანოთ შესანიშნავი სიტყვა ბებელისა, მაგრამ მოკლეთ ზოგიერთ ადგილებს მაინც გავაცნობთ მკითხველებს. აგრარიები გლეხებს ეფარებიან, სთქვა ბებელმა, გაიძახიან, გლეხისთვისა ვმეცადინეობთ, იმათ მდგომარეობის გაუმჯობესებას ვცდილობთო, ნამდვილად-კი თავიანთ ჯიბისა და კუჭისთვის სცდილობენ. თქვენ გლეხების სახელით ჰლაპარაკობთ, სახეში-კი მემამულეები გყავთ. თქვენი მეცადინეობა—ხალხს პურის ბაჟის სახით ახალი გადასახადი დაადოთ—მძარცველობაა, მევახშეობა. შემდეგ ორატორი სოფლის მეურნეთა ვითომდა გაჭირვებულ მდგომარეობას შეეხო, ჩამოთვალა ყველა ის გადასახადები, რომლებიც სოფლის ნაწარმოებებს აძევს და სთქვა, რომ ხალხი ჯერ ეხლავ აგრარიების სასარგებლოდ წელიწადში ერთ მილიარდ მარკაზედ მეტს იხდისო. სასოფლო მეურნეობა კარგ მდგომარეობაშია, თქვენ-კი წუწუნებთ, გაიძახით, რომ მიწათ-მოქმედება ზარალის მეტს არაფერს გვაძლევსო; მოგება დიდი გაქვთ, მიწის ფასიც, რაც დრო და ხანი გადის, საოცრად იწევს. მოჰკიდეთ ხელი რაციონალურ მეურნეობას, დასხედით სოფელში და თქვენ მდგომარეობას საუკეთესოდ მოაწყობთო. ამ სიტყვებზედ კონსერ. დეპუტატმა გრაფმა კანიცმა წამოიძახა: „თუ გნებავთ, თქვენ დაბრძანდით ჩვენ ადგილასაო?“—დიდის სიამოვნებით გრაფ, მიუგო ბებელმა. თქვენმა კოლეგამ გამბმა გუშინ თავისი მამული შეიძლია მოლკენბურგს, მაგრამ ამ შემთხვევაში გამბი ისევე გულ წრფელად მოიქცა, როგორც ერთხელ ბისმარკი, რომელმაც აქ პარლამენტში წინადადება მომცა—იკისრეთ აღმოსავლეთ პრუსიის გუბერნატრობა და დარწმუნდებით, რამდენად განსახორციელებელია თქვენი იდეალებიო. ვიდრე ბისმარკი სამსახურიდგან გავიდოდა, მოუთმენლად მოველოდი გუბერნატორის ადგილს; უთუოდ მოლკენბურსაც ასევე მოუხდება ცდა (სიცილი). ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, როდესაც მამულს მივიღებთ, აგრარიებად გადავიქცევით. ჩვენ შორის უკვე სამი მდიდარი მემამულეა; გუფერი, ბრაუნი და ებგარდი, მაგრამ მათაც ჩვენსავით სძულთ თქვენი პროექტები. დიდხანს ილაპარაკა კიდევ ბებელმა და ბოლოს სთქვა: ჭეშმარიტება და გერმანიის ხალხის სარგებლობა მოითხოვს უარ ვყოთ ეს პროექტი, ყოველს შემთხვევაში, ჩვენ ვეცდებით, მაგის განხორციელების ნება არ მოგცეთო.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)“

3 დეკემბერი

პეტერბურგი. დღეს აქ ჩამობრძანდნენ საზღვარ გარეთიდან და ცარსკოე სელოში წაბრძანდნენ დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ. დღესვე ჩამობრძანდნენ საზღვარ გარეთიდანვე მთავარი ჩერნოგორიისა ნიკოლოზი და დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე მეუღლითურთ. მათმა უმაღლესობამ გზად შეიარეს მათი უდიდებულესობის გატჩინოს სასახლეში და იქიდან წაბრძანდნენ ზნამენკაში.

პარიჟი. საფინანსო და ეკონომიურ პროგრამებიანი გაზეთები გაცხარებით სჯიან „ფინანსთა უწყების“ წერილს, გერმანიის სადამოგნო ახალ ტარიფის შესახებს. ყველა გაზეთები ერთხმად ამბობენ, რომ თუ გერმანიის პარლამენტმა აქამდე არ იცოდა, რა შედეგი მოჰყვებოდა საერო თავის მოყვარეობის პოლიტიკას, რუსეთის ფინანსთა მინისტრისაგან საგნის კატეგორიულად და ცხადად განმარტების შემდეგ მაინც დეპუტატები უნდა მიხვდნენ—რა დიდს განსაცდელს უქადის გერმანიის მრეწველობას ყველა სახელმწიფოებისაგან სადამიგნო ტარიფების საერთო აწევა. საპოლიტიკო და საპარლამენტო ყველა წრეები იმ აზრისანი არიან, რომ მინისტრის ვიტტეს აზრის განმარტება დიდი უღრესობის ბედნიერ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც გერმანიის მინისტრები ოპტიმისტურად ჰგონებდნენ, რომ ახალი ტარიფი სავაჭრო ხელშეკრულებათა დადებას ხელს არ შეუშლისო.

ლონდონი. აქ მოვიდა ცენზურისაგან დაგვიანებული შემდეგი ამბავი: ლუნებერგთან ბრძოლის დროს ლუი ბოტა მძიმედ დაჭრილა, მუხლს ქვევით, ტყვედ იქმნა წაყვანილი, მაგრამ თავს უშველა მითი, რომ ჩირგვებში შეძვრა და დაიმალა. ამ ჟამად სად არის იგი, არც მისმა მომხრეებმა იციან. იმ ომში ინგლისელებმა 80 ბური ტყვედ წაიყვანეს.

„ტაიმსს“ სწერენ პრეტორიიდგან, რომ დეკემბრის 2-ს პოლკოვნიკმა ჩემინგტონმა, მაიორმა დამარტენმა და პოლკოვნიკმა უილსონმა განვლეს 35 ინგლისური მილი, დაეწივნენ თავიანთი რაზმებით ბურების გუნდებს გეილბრუნის დასავლეთით, 22 ბური ტყვედ დაიჭირეს და წაართვეს ბევრი ცხენები და საქონელი.

4 დეკემბერი.

პეტერბურგი. დეკემბრის 6-ს ხელმწიფე იმპერატორის, დღეობას, მათი უდიდებულესობის თანადასწრებით დანიშნულია ალლუმი იმ ჯარებისა. რომელთა დღესასწაულიც იმ დღეს მოდის.

გამოცხადებულია შემდეგი ბრძანება საერო განათლების მინისტრისა: „ხარკოვის უნივერსიტეტის მთავრობისაგან ამ ბოლოს დროს მოსულ მოხსენებათაგან სჩანს, რომ ამ უნივერსიტეტში მიმდინარე სამოსწავლო წლის დამდეგიდგან მეხუთე კურსის სტუდენტობის უმრავლესობა სისტემატიურად დევნიდნენ იმ ამხანაგებს, რომელნიც თავიანთი მოვალეობის ერთგულნი დარჩნენ, სტუდენტების შარშანწინდელს მოძრაობაში მონაწილეობა არ მიიღეს და თავის დროზე ეგზამენებიც დაიჭირეს. უმრავლესობას კი აქეზებდნენ ის სტუდენტები, რომელნიც შარშანწინდელ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის გამორიცხეს უნივერსიტეტიდგან და შემდეგ კი ისევ მიღებულ იქმნენ. ეს დევნა იმით აიხსნება, რომ უმრავლესობა მეხუთე კურსის სტუდენტებისა, რომელიც მოძრაობაში მონაწილეობისათვის დროებით გამორიცხულ იქმნა უნივერსიტეტიდგან და მის გამო დაკარგა ერთი წელიწადი, შურით უყურებდა იმ ამხანაგებს, რომელთაც მშვიდობიანად განაგრძეს სწავლა, მით მოიგეს ერთი წელიწადი და ბევრმა კიდეც დაამთავრა კურსი. მეხუთე კურსის 124 სტუდენტებისაგან ამ უწესოების დასში ურევიან 95 კაცი, მათ შორის განსაკუთრებული როლი აქვთ მჭიდროდ შეკავშირებულს ჯგუფს ებრაელებისას, რომელთა რიცხვი 50-ზე მეტია. ამ დასს მიემხრო მედიცინის ფაკულტეტის მეოთხე კურსის დიდ-ძალი სტუდენტობა, რომელნიც 1899 წლის არეულობაში ერივნენ. ეს მოხსენებული დევნა კი ძითი გამოიხატა, რომ ამ მიმდინარე წლის ოქტომბერში უწესოების დასის სტუდენტებმა მოსთხოვეს პროფესორებს—მხოლოდ ისინი ძიეშვით ლექციების მოსასმენად და სასწავლო-დამხმარებელ დაწესებულებაში სამეცადინოთ, რომელნიც მათგან შედგენილ სიებში იყვნენ ჩაწერილნი. მათ სიებში კი ყველა ისინი, რომელთაც 1899 წელს ეგზამენები დაიჭირეს, ცამოტოვებულნი იყვნენ: გარდა ამისა თხოულობდნენ, რომ ვინც მათ სიებში არ არიან, მათთვის არ მიეცათ ორდინატორობა, ასისტენტობა და სხვ. თანამდებობანი. პროფესორების უმრავლესობამ არ მიიღო ეს მოთხოვნა, ზოგიერთებმა-კი უწესოების მოლოდინის შიშით რამდენადმე დაჰყვნენ ნებას და ამის შედეგი ის იყო, რომ რამდენიმე სტუდენტი-ექიმი დათხოვნილ იქმნა ლაბორატორიიდგან და კლინიკიდგან. რექტორმა წესიერება ვერ აღადგინა. ნოემბრის 28-ს უწესოების დასმა დასმა სცადა მხარი მიეცა ხარკოვის საბეითალო ინსტიტუტის 1 კურსის სტუდენტებისათვის და სცემა ზოგიერთ მოსამსახურეს უნივერსიტეტისას, შემდეგ გამოვიდა ქუჩაზე, სადაც მას გვერდით ამოუდგნენ სხვა სასწავლებლების რამდენიმე შეგირდები, მოახდინა დემონსტრაცია და ფანჯრები ჩაუმტვრია „იუჟნი კრაი“ რედაქციას, მაგრამ შეკავებულ იქმნა პოლიციისაგან. დაიჭირეს 39 [illegible] კაცი, მოკლე ჩვენება ჩამოართვეს და მალე ისევ გაუშვეს. მეორე დღეს უნივერსიტეტში თავი მოიყარა ორასმა კაცმა, და სჯა ჰქონდათ. საბეითალო ინსტიტუტის 1 კურსელებისათვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად. მცირედი უმრავლესობით გადაწყვიტეს შესწყვიტონ სწავლა და გადაწყვეტილება აასრულონ კიდეც. ნოემბრის 30-ს ამ გადაწყვეტილების ასასრულებლად 300 სტუდენტმა მოყარა თავი პროფესორების მაქსიმენკოსა და ზაგურსკის ლექციებზე, შექნეს ყვირილი, სტვენა, მუქარა და თავი მოხსნეს რამდენსამე შუშას მყრალი სუნის დამყენებელ სითხისას. პროფესორს ზაგურსკის და რამდენსამე სტუდენტს სული შეუწუხდათ. იმ დღესვე ნაშუადღევის 3 საათზე 300 სტუდენტებმა თავი მოიყარეს თეატრთან, იმღერეს აკრძალული სიმღერები, მაგრამ პოლიციამ გაფანტა. დეკემბრის 1 უნივერსიტეტში ისეთი უწესოება მოახდინეს, რომ ლექციები უნდა შეეწყვიტათ. უნივერსიტეტის მმართველობის განჩინებით 52 სტიდენტი, რომელთ მონაწილეობა უწესოებაში ეჭვ გარეშეა, გამორიცხულ იქმნენ. ადგილობრივმა სასწავლო მთავრობამ ითხოვა მე ნება დამერთო სწავლების 30 დეკემბრამდის შეჩერებისათვის. ჩავუფიქრდი რა ზემოთ მოხსენებულს, დიდად შევწუხდი. რომ ის ახალგაზდობა, რომელიც უმაღლეს სასწავლებელს ათავებს, ნება აძლევს თავის თავს. თუნდ უნივერსიტეტის კედლებს შორისაც, მოახდინოს უმსგავსო, შეუფერებელი დ ძალმომრეობის მომასწავებელი უწ სოება, რაც სრულიად არ შეჰფერის ზრდილს ადამიანს და გარდ ამისს ტლანქი ძალა იხმარეს პროფესორებსა და უდანაშაულო ამხანაგებზე, რომელთაც სწავლის გაგრძელება სურდათ. ვიგულისხმე რა, რომ უწესოება ბოახდინა დიდმ უმცირესობამ სუდენტების საერთო რიცხვისამ (სულ 1300-ოდე კაცია), რომელთაც სწავლა არ უნდა, დ რომ ლექციების შეჩერება ავნებს დიდს უმრავლესობას სტუდენტებისას, რომელთაც სწავლა სურთ დ უწესოებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მე წინადადებას ვაძლევ ხარკოვის ოლქის მზრუნველს: 1) ა შეაჩერონ ლექციების კითხვა, არც ლაბორატორიებსა, კაბინეტებსა დ კლინიკებში მეცადინეობა. ვისა სწავლა სურს მათ ყველაფრით ხელი შეუწყონ; 2) დაევალოს უნივერსიტეტის მმართველობას გამოძიოს უწესოებაში მონაწილე სტუდენტების დანაშაულობა და შესფერი სასჯელი გადაუწყვიტოს მათ 3) ეთხოვოთ პროფესორებს ყოვე ღონისძიებით მხარი მისცენ სტუდენტებს, რომელნიც უწესო ბაში მონაწილეობას არ იღებდნენ, აგრეთვე იმათ, ვინც სწავლა დაამ თავრა და ლაბორატორიებში სხვ. მეცადინეობენ; 4) გამოეცხა დონ იმ სტუდენტებს, რომელნი კურსს ასრულებენ, რომ მათგა ვინც ხელს შეუშლის სწავლებ მიმდინარეობას, 1902 წ. სახელმწიფო ეგზამენებზე არ იქნება შვებული.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4-го Декабря 1901 г.
სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118
დროებითი რედაქტორი ალ. ხარაჯიშვილი,
გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.